

„საავტომობილო ტრანსპორტის“ დეპარტამენტი

„საავტომობილო ტრანსპორტის“ სპეციალობით ბაკალავრის მომზადების მიზანი:

მოდულები:


1. საავტომობილო ტრანსპორტი (ქართ. და რუს. სექტორი);
2. სატრანსპორტო ლოგისტიკა;
3. სპეციალური ტექნოლოგიური ტრანსპორტი.

სპეციალისტის მომზადება საინჟინრო-პრაქტიკული საქმიანობისათვის, რომელიც შეძლებს საავტომობილო სატრანსპორტო პრობლემების სწორად გადაწყვეტას, პროფესიული გარემოს ორგანიზება-მართვას და მუდმივი კვლევა-ძიების პირობებში



მოტივირებული იქნება პროფესიულ მოღვაწეობაში მეტ წარმატებებზე.

საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს საავტომობილო ტრანსპორტის კომპონენტების თანმიმდევრული განვითარება და უმაღლესდამთავრებულების ზოგადი და პროფესიული კომპეტენციების სრულფასოვანი ფორმირება.



საავტომობილო ტრანსპორტის ბაკალავრი ფლობს:

- სატვირთო გადაზიდვების ორგანიზაციულ-ტექნიკური სქემის შედგენა და კორექტირება, კონკრეტული მარშრუტების შესაბამისად ავტომობილების სათანადო პარამეტრების კორექტირება;
- კონკრეტულ შემთხვევაში საავტომობილო გადაზიდვების ბიზნეს-გეგმის შედგენა;
- გადაზიდვების შესახებ ყოველდღიური და თვიური ანგარიშების შედგენა;
- ავტომობილების სერვისის საწარმოო ზონებისა და უბნების ტექნოლოგიური გაანგარიშება და სათანადო ნახაზების შედგენა;
- სასაწყობო მეურნეობის ორგანიზაციულ-ტექნიკური მუშაობის კონტროლი და აღრიცხვა;
- ავტოსერვისის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ანგარიშის შედგენა;
- დიაგნოსტიკურ სადგურებში ეკოლოგიური მაჩვენებლების კონტროლის ორგანიზება და მათი ნორმებში მოყვანა;
- კონკრეტულ პირობებში ავტომობილების მოძრაობის ორგანიზაციის ნახაზების, ესკიზების შედგენა და ოპტიმიზირება;
- საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა ექსპერტიზის ჩატარება.



„საავტომობილო ტრანსპორტის“ ბაკალავრის დასაქმების სფეროები:

„საავტომობილო ტრანსპორტის“ სპეციალობის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი შეიძლება დასაქმდეს

საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლუატაციასთან (მგზავრთა გადაყვანა, ტვირთების გადაზიდვა, ავტომობილების ტექნიკური მომსახურება, ავტომობილების მოძრაობის და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სხვ.) დაკავშირებულ სახელმწიფო და კერძო საწარმოებში, დაწესებულებებში, ფირმებში, ასოციაციებში და ა.შ., მათი სამსახურებრივი მდგომარეობა და მოქმედების არეალი განისაზღვრება დამწყები სპეციალისტიდან მაღალი დონის მენეჯერამდე საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის სამუშაოთა წარმართვის (ორგანიზების) მოვალეობით.